



ნაძალადევის რაიონში მარტივი ტიპის ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

CVP კოდი - 45112723

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20% - ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას ტენდერისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პირის საექსპერტო დასკვნა, უარყოფითი დასვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.8 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა-საწოხონა, კორპ. 16-ის მ/ტ. საკონტაქტო პირი: ნინო ლომჯარია ტელ: 577-23-70-73 ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი: ბექან ხუციშვილი 577-52-11-24

2. ტექნიკური დავალება

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები

2.1.1 შესყიდვის ობიექტია: ნამალადევის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები:

- ა) თემქა მე-3 მ/რ კვ. 1 კორპ 12 მ/ტ
- ბ) ილურიძის ქ. N103-ის მ/ტ
- გ) ერწოს ქ. N4-ის მ/ტ
- დ) სამღერეთის ქ. N3-ის მ/ტ

2.1.2 შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რაოდენობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში.

2.1.3 ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატი და სურათები ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2.1.4 ხელოვნური საფარის და მავთულბადის ტექნიკური მახასიათებლები

ხელოვნური საფარი:

- ბალახის სიმაღლე ფეხბურთის სტადიონისთვის - 20-25 მმ
- ბალახის სტრუქტურა - ბოჭკოვანი
- ბალახის კონის რაოდენობა 1 კვ.მ.-ზე - 22000
- ბალახის ღეროს რაოდენობა 1 კვ.მ.-ზე - არანაკლებ 45000.00
- ფერი - დამკვეთთან შთანხმებით
- საფუძველი - დამუშავდეს ლატექსით
- გადაბმები - სპეციალური წებოვანი ლენტით
- საფარის შევსება ზემოდან - კვარცული ქვიშა 0.2-0.8მმ.(არანაკლებ 20 კვ-1 კვ.მ-ზე)

მავთულბადე:

- პლასტმასით იზოლირებული არანაკლებ d4მმ; (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით)
- გალვანიზირებული მეტალის მავთული არანაკლებ d2.8მმ;
- იზოლაცია PVC არანაკლებ d1.2მმ.

2.2 გამოცდილება :

2.2.1 პრეტენდენტს 2014 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ანალოგიური (ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების შესრულების გამოცდილება. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი №2-ის შესაბამისად.

2.2.2 იმ შემთხვევაში, თუ დანართი №2-ში მითითებული სამუშაოების შესყიდვა არ განხორციელებულა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, პრეტენდენტის მიერ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ფ.2 უნდა აიტვირთოს სატენდერო წინადადებასთან ერთად.

2.3. სამუშაოს შესრულების პირობები

2.3.1 სამუშაოს მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შემსყიდველთან შეთანხმებით, აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.

2.3.2 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 1 ცალი საინფორმაციო დაფა (100სმ/80სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

2.3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2(ორი) კალენდარული დღის ვადაში.

2.3.4 მოწოდებული ხელოვნური ბალახი, ასევე მავთულბადე უნდა იყოს წარმოდგენილი მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისი.

2.3.5 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ 2(ორი) წელს ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

2.4 მიწოდების ვადა და ადგილი:

2.4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2015 წლის 17 დეკემბრისა.

2.4.2 მიწოდების ადგილი ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონის ტერიტორია:

ა) თემქა მე-3 მ/რ კვ. 1 კორპ 12 მ/ტ

ბ) ილურიძის ქ. N103-ის მ/ტ

გ) ერწოს ქ. N4-ის მ/ტ

დ) სამღერეთის ქ. N3-ის მ/ტ

2.5 სატენდერო წინადადების ფასი:

2.5.1 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მიზნობრივად გამოყოფილი დაფინანსების შესაბამისად, ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.6.3 მიმწოდებლის ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული სამუშაოს მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, შესაბამისად ანაზღაურებაც მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

2.6.4 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

2.6.5 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის (წარმოდგენილის საბანკო დაწესებულებიდან) საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-სა (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).

1.7. პროტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.7.1 შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის მიხედვით, ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას).

2.7.2 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი №2-ის მიხედვით.

2.7.3 რეკვიზიტები დანართი №3-ის მიხედვით.

შენიშვნა:

- პროტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში.
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პროტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20% - ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პროტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, სატენდერო დოკუმენტაციის 1.7 პუნქტის შესაბამისად.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

თარიღი _____ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი -----
-

სახით და მეორეს მხრივ ----- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ----- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქა მე-3 მ/რ კვ. 1 კორპ 12-ის მ/ტ, ილურიძის ქ. N103-ის მ/ტ, ერწოს ქ. N4-ის მ/ტ, სამღერეთის ქ. N3-ის მ/ტ

მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება ელექტრონული ტენდერი.

2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი -----

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 45112723.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ----- მდე/ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამუშაოს მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შემსყიდველთან შეთანხმებით, აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.

3.2 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ 1 ცალი საინფორმაციო დაფა (100სმ/80სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

3.3 მოწოდებული ხელოვნური ბალახი, ასევე მავთულბადე უნდა იყოს წარმოდგენილი მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისი.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2(ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3.5 სამუშაოების შესრულების ვადა: ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის 17 დეკემბრისა.

3.6 სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონის ტერიტორია, ტექნიკურ პირობებში მითითებული ობიექტები.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ 2(ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების თანამშრომლები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, სამუშაოების (ან მისი ნაწილის) შესრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში ფ. №2-ში“ მითითებული თარიღი, დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წლის რაიონის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების 9.2 და 9.3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

7.4 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის (წარმოდგენილის საბანკო დაწესებულებიდან) საფუძველზე, არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%-სა (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას).

8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია (არ გამოიყენება)

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების **2(ორი)** კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების **0,5%-ის** ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების **5(ხუთი)** კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების **1%-ის** ოდენობით.

9.3 სამუშაოს დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების **0,1 %-ის** ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%-ის** ოდენობით.

9.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში.
- ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების **10(ათი)** კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
- გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადის **5 (ხუთი)** კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტერის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შესრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა

დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება- მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

15. ღირებულება

15.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

15.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

15.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ----- საკონტ. პირი ბ/ქ-ნ -----, ელექტრონული ფოსტა: -----; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): -----;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი----- ; ელექტრონული ფოსტა:

16.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

16.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. სხვა პირობები

18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

შემსყიდველი:

ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება -----

I თემქა მე-3 მ/რ კვ. 1 კორპ 12-ის მ/ტ										
	სამუშაოების დასახელება	განზ	რ-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	
1	სტადიონის გარე პერიმეტრის გასუფავება სარეველა ბალახებისგან	კვმ	200							
2	არსებული ამორტიზებული ხელოვნური საფარის მოხსნა	კვმ	455							
3	ქვიშის გაშლა	კუბ.მ	7							
4	ღობის შევსება	გრძ.მ	18							
5	ხელოვნური საფარის გაშლა	კვმ	455							
6	ლითონის კონსტრუქციების შეღებვა	კვმ	540							
7	ბადის დამაგრება კარებზე	კვმ	30							
8	კალათბურთის ფარების მოწყობა	კომპლ	2							
9	სტადიონის კომბინირებული დახაზვა	კვმ	455							
10	ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნარჩენების გატანა	კუბ.მ	0,3							
	ჯამი									
II ილურიძის ქ. N103-ის მ/ტ										
	სამუშაოების დასახელება	განზ	რ-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	
1	არსებული ხელოვნური საფარის მოხსნა	კვმ	500							
2	ქვიშის გაშლა	კუბ.მ	5							
3	ხელოვნური საფარის გაშლა	კვმ	500							
4	ბადის დამაგრება კარებზე	კვმ	30							
5	სტადიონის დახაზვა	კვმ	500							
	ჯამი									
III ერწოს ქ. N4-ის მ/ტ										
	სამუშაოების დასახელება	განზ	რ-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	

1	არსებული ამორტიზებული ხელოვნური საფარის მოხსნა	კვმ	540						
2	ქვიშის გაშლა	კუბ.მ	9						
3	ხელოვნური საფარის გაშლა	კვმ	540						
4	ბადის დამაგრება კარებზე	კვმ	30						
5	სტადიონის დახაზვა	კვმ	540						
6	კალათბურთის ფარების მოწყობა	კომპლ	2						
7	ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნარჩენების გატანა	კუბ.მ	2						

ჯამი

IV სამღერეთის ე. N3-ის მ/ტ

	სამუშაოების დასახელება	განზ	რ-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	
1	არსებული ამორტიზებული ხელოვნური საფარის მოხსნა	კვმ	600							
2	კუტიკარის მოწყობა პეტლებით 1.20x2.00	ცალი	2							
3	ქვიშის გაშლა	კუბ.მ	9							
4	ლითონის კონსტრუქციების შეღებვა	კვმ	300							
5	ხელოვნური საფარის გაშლა	კვმ	600							
6	ბადის დამაგრება კარებზე	კვმ	30							
7	სტადიონის დახაზვა	კვმ	600							
8	ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნარჩენების გატანა	კუბ.მ	2							
	ჯამი									
	ჯამი (I+II+III+IV)									
	გაუთვლისწინებელი სამუშაოები	2%								
	ჯამი									
	ზედნადები ხარჯები	8%								
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება	8%								
	ჯამი									
	დღგ	18%								
	ჯამი									

შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის- "სამშენებლო სამუშაოების სახლემწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.

გაუთვალისწინებელი ხარჯი—2% არის უცვლელი.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი -----